ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6059645

ნომერი: AR1911316

თარიღი : 08.07.2022

გაცემის თარიღი : 29.07.2022

გაცნობის თარიღი : 01.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ვაზისუბანი II , N 16 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , II მ/რ , N 16 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ჩიჩუა პ/ნ 01001060952
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილორის ქუჩა, N 10, ბინა 7

ორგანიზაცია:
- შპს მწვანე სახლი ვაზისუბანი კოდი: 400305807

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5799247 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 8 ივლისს №AR1911316 განაცხადებით მომართა ქეთევან ჩიჩუამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5799247 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734072 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.07.021.028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5799247 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 10 თებერვლიდან 2024 წლის 10 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა გიორგი ფაიქიძე (პ/ნ: 01026008878).

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5799247 დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - გიორგი ფაიქიძის (პ/ნ: 01026008878) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს „მწვანე სახლი ვაზისუბანი“-ს (ს/ნ: 400305807) დაფიქსირება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022498401, მომზადების თარიღი: 13/07/2022 წ.) თანახმად №01.17.07.021.028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „მწვანე სახლი ვაზისუბანი“ (ს/ნ: 400305807). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21024414, მომზადების თარიღი: 17/03/2021 წ.) თანახმად, შპს „მწვანე სახლი ვაზისუბანი“-ს (ს/ნ: 400305807) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქეთევან ჩიჩუა (პ/ნ: 01001060952). შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.17.07.021.028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მწვანე სახლი ვაზისუბანი“ (ს/ნ: 400305807), რომლის უფლებამოსილი პირიც მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 10 თებერვლის №5799247 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „მწვანე სახლი ვაზისუბანი“-ს (ს/ნ: 400305807) დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5799247 ბრძანებაში და დამკვეთად გიორგი ფაიქიძის (პ/ნ: 01026008878) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „მწვანე სახლი ვაზისუბანი“ (ს/ნ: 400305807).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5799247 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის №5799247 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.